პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

□ ვეორა 2 აპრილი 1978 წ. □ № 78 (17122) □ ფასი 2 კაპ.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

## სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება, მეტი თავისუფალი დრო ხელშემწყობ პირობებს უქმნის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ხალხური ტალანტების აყვავებას. ამჟამად მხატვრულ თვითმოქმედებაში ჩონაწილეობს 25 მილიონზე მეტი კაცი. მხატვრულ შემოქმედებაში მუშები, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, სტუდენტების, მოსწავლეებისა და არმიის ახალგაზრდობის მასობრივი მონაწილეობა სოციალისტური ცხოვრების წესის დამახასიათებელი ნიშანი, საბჭოთა ხალხის სულიერი სიმდიდრის მკაფიო გამოვლინებაა.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები, კომკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები ახლა უფრო მეტ ზრუნვას იჩენენ შრომელთა მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის. გაიზარდა თვითმოქმედი კოლექტივების ოსტატობა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში, პროპაგანდას უწევენ საზღვარგარეთ ჩვენი სამშობლოს მიღწევებს.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მშრომელთა თვითმოქმედი შემოქმედების პირველი (1975-1977 წლების) სრულიად საკავშირო ფესტივალი, რომელმაც ხელი შეუწყო თვითმოქმედების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას, სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის გაღრმავებასა და კულტურების ურთიერთგამდიდრებას, პროფესიული და თვითმოქმედი ხელოვნების თანამგზავრობის განმტკიცებას.

ამასთან სკკპ ცენტრალურნა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, საკავშირო პროფსაბჭო, ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა ორგანო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სრულად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს მხატვრულ თვითმოქმედებაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის, სუსტად ეწევიან თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა შერჩევასა და აღზრდას. ჯერ კიდევ დაბალხარისხოვანია სარეპერტუარო და მეთოდიური ლიტერატურა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ქვეყანაში ხალხური მხატვრული შემოქმედების შემდგომ განვითარებას, მისი როლის ამაღლებას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და თავისუფალი დროს ორგანიზაციაში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის უმაღლესი სახსოვლებლების სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეიქმნას საჭირო პირობები ყველა საელმწიფო დაწესებულებაში, საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სახსოვლებლებში მხატვრულ შემოქმედებაში მეცადინეობისათვის, ფართოდ ჩაებან თვითმოქმედ კოლექტივებში მუშები, კოლმეურნეები, მოხამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები და მეომრები, კიდევ უფრო განავითარონ სპორტი თეატრები და მოყვარულთა მუსიკალური, ქორეოგრაფიული, საგუნდო კოლექტივები, სახვითი, კინო- და ფოტოხელოვნების სტუდიები. ყოველმხრივ გააფართოონ მხატვრული თვითმოქმედების წრეების ქსელი უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში. მოაწყონ მხატვრული თვითმოქმედების ბავშვთა და ახალგაზრდათა კოლექტივები — საუკეთესო პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების თანამგზავრები.

რეკომენდებულია რეგულარულად მოეწყოს სიმღერისა და ცეკვის, სასულე მუსიკის მახობრივი დღესასწაულები, ავტბრიგადების შემოქმედებითი კონკურსები, დათვალიერებები, ამასთან აქტიურად გამოიყენონ ამ მიზნით საკლუბო დაწესებულებანი, საწარმოებისა და დაწესებულებების, სასწავლებლების, საერთო საცხოვრებლებისა და სახლმმართველობების წითელი კუთხეები, სტადიონები, პარკები, დარბაზები. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, შემოქმედებითმა კავშირებმა და ხალხგადოებებმა ყოველნაირად უნდა განავითარონ პროფესიული კოლექტივების შეფობა მხატვრული თვითმოქმედებისადმი.

მიზანშეწონილად ცნეს 1980-1982 წლებში მოეწყოს თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, ბაკალიერონ პარტიული ხელმძღვანელობა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების განვითარებისადმი და მიიჩნიონ იგი ბალხის მასების კულტურის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების, დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კლუბების, კულტურის სახლებისა და სახლების, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებას, შრომითი კოლექტივების საქმიანობასთან მათი კავშირის განმტკიცებას, იდეურ-პოლიტიკურ, შრომითს და ზნეობრივ აღზრდაში თვითმოქმედი ხელოვნების ფართო გამოყენებას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევას.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭომ ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიონ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს მაღალიდეური რეპერტუარის შექმნაში, აქტიურად შეუწყონ ხელი იმას, რომ ამ რეპერტუარში შეტანილ იქნეს საუკეთესო ნაწარმოებები კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და აღმშენებლობითი შრომის შესახებ. უფრო ფართოდ გაეცნოიყენონ საბჭოთა და საზღვარგარეთის კლასიკა, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებები, ფოლკლორი და თანამედროვე ხალხური შემოქმედება.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეიქმნას საჭირო პირობები ყველა საელმწიფო დაწესებულებაში, საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სახსოვლებლებში მხატვრულ შემოქმედებაში მეცადინეობისათვის, ფართოდ ჩაებან თვითმოქმედ კოლექტივებში მუშები, კოლმეურნეები, მოხამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები და მეომრები, კიდევ უფრო განავითარონ სპორტი თეატრები და მოყვარულთა მუსიკალური, ქორეოგრაფიული, საგუნდო კოლექტივები, სახვითი, კინო- და ფოტოხელოვნების სტუდიები. ყოველმხრივ გააფართოონ მხატვრული თვითმოქმედების წრეების ქსელი უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში. მოაწყონ მხატვრული თვითმოქმედების ბავშვთა და ახალგაზრდათა კოლექტივები — საუკეთესო პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების თანამგზავრები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გათვალისწინონ, რომ უნდა გადიდდეს მუსიკალური ინსტრუმენტების, მოყვარული მხატვრებისათვის საჭირო ნივთების გამოშვება, გაფართოვდეს ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს ხარისხი, აგრეთვე მოეწყოს ქოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალურად გამოყოფილი საწარმოების მეშვეობით ამ საწარმოთა მასალებისაგან უნაღდო ანგარიშსწორებით მხატვრული თვითმოქმედებისათვის საჭირო კოსტიუმებისა და ფეხსაცმლის შეკერვა.

სსრ კავშირის სახბანკს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად წინადადება მიეცათ გააფართოონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის ნუსხა, რომლის შესყიდვის უფლება ეძლევათ კულტურის სახლებსა და სახლებს. კლუბებს, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, სკოლებს, სკოლისგარეშე დაწესებულებსა და პროფკავშირულ კომიტეტებს უნდოდეთ ანგარიშსწორებით წვრილი ბითუმის ლიმიტში ჩაუთვლელად.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა განამტკიცონ მხატვრული თვითმოქმედების მატერიალური ბაზა, სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ სახსრები, რომლებიც გამოყოფილია საკლუბო დაწესებულებებისა და წითელი კუთხეების მშენებლობისა და რემონტისათვის, მათი სანიმუშო შენახვის უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკინომ, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა ფართო პოპულარიზაცია უნდა გაუწიონ მხატვრული თვითმოქმედების მიღწევებს, გააშუქონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის, ღრმად გამოავლინონ მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გამოაქვეყნონ ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეების, კრიტიკოსების მიმოხილვები, რეცენზიები თვითმოქმედი კოლექტივების სპექტაკლებისა და საკონცერტო პროგრამების შესახებ.

# ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კრასნოიარსკში!

1 აპრილს კრასნოიარსკში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. ვაგზალზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ს. ფედორკო, პარტიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრები, საწარმოთა მოწინავენი. ისინი გულთბილად მიესალმნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს დ. თ. უსტინოვს.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და დ. თ. უსტინოვი ეწვივნენ კრასნოიარსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას და გაეცნენ წარმოების ტექნოლოგიას, ქარხნის პროდუქციას, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონელს, ესაუბრნენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს.

ახალგაზრდა შემდუღებელ მუშასთან იური ფირსოვთან საუბარში ლეონიდ ილიას ძემ ჰკითხა, როგორ შრომობს იგი, როგორია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები.

ი. ფირსოვმა უპასუხა:

— მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ შეგვიმსუბუქა შრომა, უფრო ნაყოფიერი გახადა იგი. ამიტომ ხელფასიც იზრდება. ბევრი მუშა ახალმოსახლეა. ქარხანა ყოველწლიურად ოთხას ბინას აშენებს. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ქარხანა მეტ ბინებს აშენებდეს. ჩვენთან ამას წინათ გაიხსნა ახალი პიონერთა ბანაკი, სანატორიუმი, საბავშვო ბაღი.

— ვხედავ, კარგი, საქმიანი განწყობილება გაქვთ,— უთხრა ლ. ი. ბრეჟნევმა ქარხნის მუშებს. — ხოლო როცა ხალხი კმაყოფილია, როცა კარგ პერსპექტივას ხედავს, წარმატებითაც მუშაობს.

მანქანათმშენებლებმა სულითა და გულით მადლობა გადაუხადეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საწარმოში სტუმრობისათვის, გულთბილი საუბრისათვის.

საწარმოს საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ჩაწერა: „ძვირფასო ამხანაგებო! დიდი კმაყოფილებით დავთვალიერე თქვენი ქარხანა. მთელ კოლექტივს ვუსურვებ დიდ შრომითს წარმატებებს და თითოეულ თქვენგანს პირად ბედნიერებას“.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია აგრეთვე კრასნოიარსკის მეტალურგიულ ქარხანას, რომელიც უმევებს ალუმინის სხმულსა და ნაგლინს. აქ, ისევე როგორც მანქანათმშენებელ ქარხანაში, საქმიანი საუბარი გაიმართა საწარმოს მუშებთან და ხელმძღვანელებთან.

. პროფილების კორპუსში ახალგაზრდა მუშებმა ამხანაგ ბრეჟნევს ჰკითხეს:

— ლეონიდ ილიას ძევ, მოგეწონათ ჩვენი ქარხანა?

— დიახ, უპასუხა მან. — ეს ახალი საწარმოა, იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მაგრამ უნდა განახორციელოთ ღონისძიებანი, რათა უფრო სწრაფად აითვისოთ არსებული სიმძლავრეები. აქ თქვენ, მუშათა კლასმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეგიძლიათ ბევრი რამ გააკეთოთ. მიიჩნიეთ ეს ჩემს განაწესად.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია ბოლოიარული ბანაკების სახლს. აქ იგი ესაუბრა სკკპ სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრებს. მათ წინაშე გამოსვლისას, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა:

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდა და მათი როლის ამაღლება სამრეწველო პროდუქციის საერთო-საკავშირო წარმოებაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამრიგად, ახორციელებს საწარმოო ძალების განლაგების სრულყოფის, შრომის ენერგეტიკული, სათობისა და ნედლეულის რესურსების რაციონალური გამოყენების კურსს.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ეკუთვნება თქვენს კრასნოიარსკის მხარეს. აქ, როგორც ვიცით, იქმნება საიანსკის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი. საიანო-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების გზით ენერგიით უზრუნველყოფა ამ კომპლექსის ენერგეტიკული აღჭურვის კარგ საფუძველს იძლევა. იაფი ელექტროენერგია საშუალებას მოგვცემს ავაგოთ და ხუთწლედის დამლევამდე ამოქმედოთ მინუსინსკში ელექტროტექნიკური ქარხნების კომპლექსი, უზრუნველყოფთ საიანსკის ალუმინის ქარხნის ელექტროლიზის პირველი კორპუსების მწყობრში ჩაყენება.

თქვენი რაიონის მდიდარი მაღნისა და ნედლეულის საბადოები მაქსიმალურად უახლოვდება დამმუშავებელ საწარმოებს, და ეს უკვე ახლა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

რა თქმა უნდა, მხარის საწარმოო ძალების განვითარება საშრენებლო ინდუსტრიისა და ტრანსპორტის განვითარების უფრო სწრაფ ტემპს მოითხოვს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ კრასნოიარსკის მხარის დარგების განვითარების კომპლექსური ხასიათს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის. გასაგებია, რომ ამოცანები რთულია. მაგრამ რაკი ჩამოვედი, გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ, ყველაფერი უნდა ვთქვათ, რის მოძხრეული ვართ და რის არა. ძალიანაც არ მინდა დღეკანდელ ჩვენს შეხვედრაზე გაჟღენთოთ, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი ობიექტები კრასნოიარსკის მხარეში უაღრესად ნელი ტემპით შენდება. მათი ამოქმედება უზრუნველყოფილი არ არის გათვალისწინებულ ვადებში. ეს შეეხება აჩინსკის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასაც, ორსკის მოლიბდენის კომბინატსაც, ამაკანის ვაგონმშენებელ ქარხანასაც, კრასნოიარსკის ავტომობილების მისაბმელების, კომბაინის ქარხანასაც. ერთი სიტყვით, თქვენ უფრო კარგად იცით, სადაც ვერ ასრულებთ გეგმას. ეს შეუწყნარებელია, ამხანაგებო, ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საკავშირო სამინისტროებსაც და მხარის ხელმძღვანელებსაც.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აღმოსავლეთ ციმბირის ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ათვისება და ეკონომიკის კომპლექსური განვითარება ჩვენ ტაქტიკა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისაგან შინაგანი რეზერვების შედეგი ძიებასა და ამოქმედებას მოითხოვს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სოციალისტურ შეჯიბრებას. იგი ხომ მხარის გეოგრაფიულ ფარგლებს გასცდა და თავის ორბიტაში მოაქცია კრასნოიარსკიდან ზოგჯერ ათასობით კილომეტრზე განლაგებული საწარმოები.

მე მიამბეს, რომ ლენინგრადის საწარმოები და ორგანიზაციები თანამშრომლობენ საიანო-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებთან. ასეთი თანამეგობრობის მიზანი მოიწონა ცენტრალურმა კომიტეტმა, რადგან მას მოჰყვება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ვადების შემცირება. ხოლო ლენინგრადისა და კრასნოიარსკის ვალდებულებებში ნათქვამია ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და სამშუშაოთა მაღალი ხარისხის შესახებ. პრაქტიკამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისადმი მომიჯნავეთა სწორედ ასეთი მიდგომა იძლევა ყველაზე მეტ ეფექტს, ლენინგრადელებთან თანამეგობრობით ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა მკვეთრად აამაღლეს ობიექტის მშენებლობის ტემპები და ხარისხი. მინდა გირჩიოთ, ამხანაგებო, რომ უფრო ფართოდ გააერთიანოთ თანამეგობრობის ასეთი გამოცდილება სხვა საწარმოო კოლექტივებშიც.

მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ კაპიტალური მშენებლობის სრულყოფას. აქ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გაქვთ. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთხელ კიდევ მოგიგონოთ ცენტრალური კომიტეტის დადგენების პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია ძალისა და სახსრების კონცენტრაცია ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ასპიროიანობიექტებზე, სამშენაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლება, მშენებლობების ნელყოფოთა და მასალების მოპარვების გაუმჯობესება, ადამიანებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონის განუხრელი ამაღლება.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ კრასნოიარსკის მხარის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ხუთწლედის მესამე წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამისათვის თქვენ ყველა შესაძლებლობა გაქვთ.

დასასრულ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

მეტად კმაყოფილი ვარ თქვენთან ჩამოსვლით, კმაყოფილი ვარ საწარმოს დათვალიერებით, ადამიანთა გუნება-განწყობილებით, მუშებთან შეხვედრებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა სახელით მოგესალმებით და წარმატებებს გისურვებთ მუშაობაში. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მხარე — ციმბირის ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და პერსპექტიული მხარე — პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ ამოცანებს.

შემდეგ გამოვიდა სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ს. ფედორკო. მან თქვა:

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! მხარის ყველა მშრომელის, სამხარეო პარტიული ორგანიზაციის, ყველა მისი კომუნისტის სახელით ნება მიბოძეთ უდიდესი მადლობა გიძღვნათ იმისათვის, რომ ასეთი დაძაბული მუშაობის დროს გამოძებნეთ დრო სწყალობით ჩვენს მხარეს. მადლობელი ვართ იმ მრავალმხრივი მუშაობისათვის, რომელსაც ეწევით, იმ პრაქტიკული დახმარებისათვის, რომელსაც ჩვენს მხარეს უწევთ.

თქვენ ხართ ჩვენი მხარის საწარმოო ძალების კომპლექსური განვითარების 1971 წელს მიღებული ათწლიანი პროგრამის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამ პროგრამით დაგვრწყეთ ცხრა დიდი სამრეწველო კვანძის, ორი ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსის: საიანსკის სათობა-ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობა და ვიწყებთ მეორე, — კანსკ-აჩინსკის სათობა-ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობას.

ამ დიდი საქმის განხორციელების შედეგად შევეღლით მეცხრე ხუთწლედში ერთნახევარჯერ გადგედიდებინა მხარის სამრეწველო წარმოების მოცულობა.

შემდეგ ამხ. პ. ს. ფედორკომ ილაპარაკა მიმდინარე ხუთწლედში მხარის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე დასახულ ამოცანებზე. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის, ხაზი გაუსვა მან, მეათე ხუთწლედში სულ ცოტა 40 პროცენტით უნდა გაეადიდოთ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში და 23 პროცენტით — სოფლის მეურნეობაში, ხოლო მშენებლობაში — 36 პროცენტით.

დიდი მუშაობა მოგველის კაპიტალურ მშენებლობაში, თქვენს, ლეონიდ ილიას ძევ, ყველაფერს ვიცნობენ, რათა წარმატებით განახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, შეგასრულოთ ჩვენი პარტიის (ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მითითებანი. (საკვლეი).

• • •

**სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევი კრასნოიარსკის მეტალურგიულ ქარხანაში.**

# მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შუქურები

## საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

**მშრომელთა** კომუნისტური აღზრდის საკითხებზე რომლაპარაკობდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ლ. ი. ბრეჟნევმა** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სხვებმა სხდომაზე ალნიშნა: **„ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ჩავუნერგოთ ადამიანებს მაღალი ხაზოგადოებრივი მიზნებისათვის სწრაფვა, იდეური მრწამსი, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება. აქ გადის კომუნიზმისათვის ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც“.**

კომუნიზმისათვის, პარტიის იდეალების სულისკვეთებით კომუნიზმის მშენებელთა აღზრდისათვის ბრძოლის ფრონტის ერთ-ერთი ასეთი მოწინავე პოზიცია განეკუთვნება კულტურულ-მასობრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომლებსაც პარტიამ მომწიფებული, განვითარეული სოციალიზმის პირობებში სულ უფრო მზარდი და აქტუალური ამოცანები დაუსახა, კულტურის შუქურებია, რომლებმაც საბჭოთა ადამიანებს უნდა გააცნონ ჩვენი ხალხის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა სულიერ ფასეულობათა მიღწევები, აღზარდონ მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სულისკვეთებით.

1 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გამართულმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის, „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები და იდეოლოგიის დარგის მდივნები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და კულტურის განყოფილებათა გამგეები, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების, სახალხო თეატრების, სახალხო უნივერსიტეტების მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პარტორგანიზაციების მდივნები, რესპუბლიკური პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, იდეოლოგიური სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, ტელევიზიისა და რადიოს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და პარტორგანიზაციების მდივნები, თვალსაჩინო მწერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიის, ობისა და შრომის ვეტერანები, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და საზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ი. ო. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. ბოსაშვილი, ჟ. კ. ბარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე **ვ. ნ. კოსტეცკი.**

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

მოხსენება „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის ამაღლების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. მ. სირაძემ.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. ვ. თაქთაქიშვილი,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ლ. ბ. მარშანია,** ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი **თ. გ. ჩხერაული,** სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **თ. შ. ქაბულოვა,** ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი **ა. მ. ოვერჩუკი,** პარტიის ქობულეთის რაკომის პირველი მდივანი **ბ. ს. ჯიქია,** ონის სახალხო თეატრის რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. შ. ჯაფარიძე,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** საქართველოს ძმატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ნ. შ. ჯანსეხრიძე,** კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **გ. გ ხორგუაშვილი,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ეროვნული უმცირესობის ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭოს თავმჯდომარე **შ. მ. ნადიროვი,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი **ი. ნ. ციციშვილი,** ზუგდიდის რაიონის სახალხო დეპუტატთა ინვირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ა. ხ. ცქვიტაია,** მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ნ. წითლიძე.**

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგემ **ვ. ნ. კოსტეცკიმ.**

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია და რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის პერსპექტიული გეგმა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეებმა დიდი ალმაცვლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომ

# წიაღისეული სიმდიდრე — ადამიანის სამსახურში!

**ახლანდელი და მომავალი თაობების იმედისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება საბჭოთა ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით.**

**საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პრომძიდან.**

**ძველად** თუ მოიძებნება ადამიანის მოღვაწეობის ისეთი სფერო, რომელშიც გამოყენებითი და თეორიული მხარე ისე ორგანულად იყოს შერწყმული, როგორც გეოლოგიაში.

სკკპ XXV ყრილობამ საბჭოთა გეოლოგიის წინაშე დასახა სამთოგადამამუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო წიაღისეულის ახალი საბადოების აღმოჩენის და ძველი საბადოების მარაგის გაზრდის, საძიებო სამუშაოების ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლების მეტად პასუხსაგები ამოცანები. ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის წარმატებით განხორციელებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგებსაც უჭირავთ.

ქართული გეოლოგია საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველსავე წლებში ჩაისახა. ამ დიდი ეროვნული საქმის ფუძემდებლები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ა. ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე და კ. გაბუნია. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე რთულ სოციალურ ძვრებს, შეიძლება გადაუჭარბებელად ვთქვათ, რომ თვით იდეა ქართული გეოლოგიის შექმნისა იმ დროს მეცნიერულ გმირობას ნიშნავდა. ეს იდეა კარგახანს ელოდა განხორციელებას, ვიდრე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეტიცე მოთხოვნით და ს. ორჯონიკიძის აქტიური მხარდაჭერით 1925 წელს არ ჩამოყალიბდა გეოლოგიის ინსტიტუტი — ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ჩვენში. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საბჭოთა საქართველო იწყებდა თავდადებულ შრომას კოლტრული და სოციალური აღორძინებისათვის, ბრძოლას სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის, უპირველეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, ეს კი წარმოუდგენელი იყო ახალი მინერალური და ენერგეტიკული რესურსების გამოვლენის გარეშე. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა გეოლოგიური კვლევის სწრაფი ზრდა. ოციანი წლების ბოლოს დაარსდა რამდენიმე დაწესებულება, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ პრაქტიკული გეოლოგიის საკითხები. დღეისათვის ეს დაწესებულებები გვეგლინებიან უპირველეს ყოვლისა საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველო, „საქნავთობის“ და მთელი რიგი სხვა დარგობრივი ტრესტების სახით. ამასთან ერთად ჯეოლოგიის სპეციფიკურობის გამო, აუცილებელი იყო მტკიცე მეცნიერული ბაზის შექმნა.

თავდაპირველად ეს მოვალეობა იკისრა გეოლოგიის ინსტიტუტმა, რომელსაც შემდგომ მხარში ამოუდგნენ ისეთი ავტორიტეტული სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულებები, როგორიც არის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, ნავთობისა და გაზის საკავშირო ინსტიტუტის ფილიალი (ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიის ანალოგიური ინსტიტუტის ფილიალი), მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი, უნივერსიტეტისა და პოლიტიკური ინსტიტუტის გეოლოგიური პროფილის კათედრები და სხვ.

ყოველივე ის, რითაც დღეს ქართული გეოლოგია ამაყობს, არის დასახელებული საწარმოო და სამეცნიერო კოლექტივების მჭიდრო, საქმიანი თანამშრომლობის შედეგი. ამ მიღწევათა შორის საკმარისია დავასახელოთ სამხრეთ საქართველოს ფერადი ლითონების საბადოთა ჯგუფის აღმოჩენა, მიღწევები ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებაში, აგრეთვე სამშენებლო და ქიმიური ნედლეულის მრეწველობის ულზენველოფოფის საქმეში, მანგანუმისა და ქვანახშირის საბადოთა მარაგის გაზრდის და ახალი პერსპექტიული უბნების გამოვლინებაში. მიღწევები მინერალური და თერმული წყლების თვისების, ვანელილი და მეათე ხუთწლედების საწარმოო და ენერგეტიკული გიგანტების მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გარკვევის საქმეში.

სსრ კავშირის დიდი ნაწილი, მათ შორის საქართველოც, გეოლოგიური თვალსაზრისით მაღალ დონეზეა შესწავლილ. ეროვნულ-ლოგანესენი ზედაპირული საბადოები ,კარგა ხანია ცნობილი და ათვისებულია. ეს გარემოება კი გარკვეულ სიძნელეებს ოქმნის წიაღისეულის კვლევაში. მინერალური რესურსების მარაგის მომავალი ზრდა მოითხოვს დედამიწის წიაღში „ჩახედვას“. ორმოდმდებარე საბადოთა აღმოჩენისათვის აუცილებელია მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების ფართოდ გამოყენება, ახალი ძებნითი კრიტერიუმების შემუშავება, მეცნიერული პროგნოზირება.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგთა მოღვაწეობის მხოლოდ ერთ—მეცნიერულ მხარეზე. ,ერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობაზე, ინსტიტუტისა, რომელიც სხვა აკადემიურ დაწესებულებებთან ერთად მოწოდებულია მხარი აუბას პრაქტიკის ყოველდღიურ მოთხოვნილებებს.

ინსტიტუტში შემუშავებული ლითოლოგიურ-სტრატიგრაფიული და ტექტონიკური სქემები გამოიყენება საწარმო-გეოლოგიური დაწესებულებების მიერ საველმწიფო-გეოლოგიური აგეგმვის პროცესში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ინსტიტუტი უშუალოდაც ატარებს კომპლექსურ კვლევას საწარმოო-გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად სახელშეკრულებო საწყისებზე. ამუშავებს შეგროვილ მასალას კამერალურ-ლაბორატორიული წესით და ადგენს შესაბამის სამეცნიერო ანგარიშებს.

ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით შედგენილია საქართველოს ტექტონიკური და ნეოტექტონიკური რუკები. ეს რუკები შეიცავს უახლეს ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე მიწის ქერქის ზედა ნაწილის სტრუქტურის, ნივთიერი შედგენილობისა და ჩამოყალიბების შესახებ, რაც ლითონური და არალითონური ნედლეულის, ნავთობის, გაზის მეცნიერულად დასაბუთებული ძიების წარმართვის საფუძველია.

საქართველოს ზოგიერთ რაიონში (ბოლნისის ზონა, აღმოსავლეთი კახეთი, აჭარა) დადგენილია მაღალმინერალიზებული ზონები, რომლებიც პერსპექტიული ობიექტებია სასარგებლო წიაღისეულის ძებნისათვის.

ინსტიტუტის პეტროლოგები იკვლევენ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის მიმდებარე ოლქების მაგმატიზმის განვითარების თავისებურებებს და გამადნების კავშირს მაგმურ ქანებთან. მიღებული შედეგები წარმატებით გამოიყენება კავკასიის მეტალოგენიური რუკის შედგენისათვის, რომელიც სხვადასხვა ლითონური ელემენტის ძებნის საფუძველი უნდა გახდეს.

მინერალოგიური კვლევა ძირითადად მიზნად ისახავს ქაფის მაღალი შემცველობის ,ეროვნული და მასთან ასოციაციაში მყოფი სხვა მინერალების, აგრეთვე რკინა-მაგნეზიანი მინერალების ჯგუფების შესწავლას. გრაფიტის ექსპერიმენტალურ კვლევამ ცხადყო მისი, როგორც გეოლოგიური „თერმომეტრის“, გამოყენების შესაძლებლობა.

საინჟინერსო და მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება დანალექი ქანების, მიწის ქერქში გაფანტული იშვიათი ელემენტების, ვანადარხებული ორგანიზმების ქანების, შეფარდებითი და აბსოლუტური ასაკის კვლევის საქმეში. შემუშავებულია ზოგადი სტრუქტურულ-სტრატიგრაფიული, პეტროგრაფიული და ლითოლოგიური კრიტერიუმები საქართველოს წიაღში ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო ,ომიტეტის წინადადებით ინსტიტუტი ჩაბმულია მეცნიერულ-ტექნიკური ფიალების დამუშავებაში, რაც მიზნად ისახავს ბორჯომის ტიპის მინერალური წყლების გამოსაყენებლის რაიონების გეოლოგიურ კვლევას ზედაპირულ და სიღრმულ სტრუქტურებს შორის კავშირის გამოსავლენად, რაც დადად შეუწყობს ხელს ცნობილი მინერალური წყლის მარაგის სწორად ძიებას.

ქართული გეოლოგიური სკოლის უდავო აღიარებაზე მეტყველებს ის კავშირურთიერთობა, რომელიც დამყარებული აქვთ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებს სსრ კავშირისა და უცხოეთის (სოციალისტური ბანაკის, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების) სამეცნიერო ცენტრებთან. ეს კავშირურთიერთობა თავის გამოხატულებას პოულობს ქართველ მეცნიერ-გეოლოგთა მონაწილეობით სხვადასხვა კონფერენციების, სიმპოზიუმების, თათბირების და საერთაშორისო პროექტების მუშაობაში, საერთო თემატიკის დამუშავებაში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ხაზით.

გეოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობს ჯამოკვლევები გეოლოგიური მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით. მთელ რიგ კლასიკურ (პალეონტოლოგია, სტრატიგრაფია, რეგიონული გეოლოგია, პალეოგეოქანოლოგია და სხვა.) დარგებში ინსტიტუტის მუშაობა სავსებით თანამედროვე დონეზეა და შეესაბამება მსოფლიო მასშტაბით მეცნიერების განვითარების ტენდენციას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გეოლოგიის მეცნიერების მრავალი დარგის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული თეზიკისა და ქიმიის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებაზე ექსპერიმენტული მონაცემების მათემატიკური მეთოდებით დამუშავების აზით. კერძოდ, ეს ეხება მინერალური ნედლეულის ანალიზს, ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების ფართო განვითარებას, სტაბილური და რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებას, კვლევის სპეციალური მეთოდების დანერგვას. ბუნებრივია, რომ ეს ტენდენცია დამახასიათებელია გეოლოგიის ინსტიტუტის კვლევისათვის, მაგრამ იაიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰხრი ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ინსტიტუტის კოლექტივი ძალ-ღონეს არ დაიშურებს იმისათვის, რომ წარმატების თონზე აროებული ნაკლოვანებანი მინიმუმამდე შეამციროს, შეიტანოს შესაფერი წვლილი საბჭოთა გეოლოგიის მეცნიერების საგანძურში, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების ,ადაწყვეტას.

**კ. გამყრელიძე,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**

**რ. ღამბაშიძე,**
**გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.**



**სურათებზე:** ფოლადაურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მოწინავეები (მარცხნიდან): მბურღავი გ. გეიუშევი, ბურღვის ოსტატი პ. აგაბეგოვი, გეოლოგიურ-საძიებო პარტიის ტექნიკური ხელმძღვანელი გ. შენგელია. მბურღავის თანაშემწე კ. იაგუბოვი და ბურღვის ოსტატი ი. კოროტკოვი; მარკშაიდერი ავთანდილ გვარაძე და მცირე კავკასიონის კომპლექსური გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის გეოლოგიურ-საწარმოო განყოფილების უფროსი ალვარი ხუნდაძე საძიებო პროფილების დაკვალვის დროს.

ფ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

*1 აპრილი ● „პრავდის“ ფურცლებზე*

## მოპალაპის უფლებანი და მოვალეობა

**„არც ერთ** საზოგადოებას ისტორიაში არ გაუკეთებია და არც შეეძლო გაეკეთებინა იმდენი რამ ადამიანისათვის, რამდენიც სოციალიზმმა. მან აღამაღლა საბჭოთა მოქალაქე, მიანიჭა მას მთელი უფლებები და თავისუფლებანი, რომლებიც ფართო გასაქანს უქმნის შემოქმედებითს შრომას, საზოგადოებრივ აქტიურობას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო გაიარმაცა ამ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შინაარსი, რომლებიც ადამიანს ცხოვრების თვით საფუძველს ეხება, — ნათქვამია მოწონავე წერილში **„მოქალაქის უფლებანი და მოვალეობა“**... — საბჭოთა ადამიანის დემოკრატიულ უფლებათა მთავარი გარანტიაა სოციალისტური სამშობლოს მზარდი ძალიერება, რომელიც იქმნება მისი მოქალაქეების გონებით, ნიჭითა და შრომისმოყვარე ხელებით. ამის შეგნება ადამიანებს აღუძრავს სურვილს საერთო კეთილდღეობისათვის მუშაობდნენ მთელი ძალითა და, უნარით, გულმოდგინეთ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და დღეიადაგ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე“.

მოწონავე წერილში მოყვანილია ამის მაგალითები, თუ როგორ აფასებენ და პატივს სცემენ ჩვენში იმათ, ვინც ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე, აგრეთვე ლაპარაკია იმაზეც, რომ არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმ ფაქტებზე, როცა, ადამიანებმ საზოგადოების მიერ მინიჭებული ყველა სიკეთით რომ სარგებლობენ, უგრეგილოდ ასრულებენ მის მოთხოვნებს, თავს არიდებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

გაზეთი ვრცლად ბეჭდავს მასალებს ციმბირის ქალაქებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უოფნის შესახებ.

არაშემწანიადაგიანი ზონის მიწების ათვისების პრობლემებს ეხება „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტების **ზ. ბისტროვასა** და **ვ. პოსოხოვის** წერილი ვლადიმირის ოლქიდან („მიწის გარდაქმნისას“). „მრავალი საუკუნეა შრომობს ვლადიმირის მიწაზე მხვნელ-მთესველი. მაგრამ იგი ყოველთვის სიუხვით როდი უპასუხებდა მას. დაეხმაროს — მეთიერ ძალით გადაიბსნას გული — ასეთია ოლქის მშრომელთა ახლანდელი თაობის ეული“, — ნათქვამია ამ წერილში.

„პრობლემები და მოზარდნი“ — ამ რუბრიკით გაზეთი ბეჭდავს პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ მთავარი რედაქტორის **ი. სტოლიაროვის** სტატიას **„სამავშვო საკონსტრუქტორო ბიურო — ეს სერიოზული საქმეა“**, რომელშიც ლაპარაკია ახალგაზრდობისა და მოზარდთა მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ტექნიკური შემოქმედების ეფექტიანი როლის შესახებ.

პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა ორგანოებში შესული მშრომელთა წერილები და განცხადებები სახელმწიფოს მართვაში ხალხის მასების მონაწილეობის მნიშვნელოვანი ფორმაა, ამიტომ მათთან მუშაობის სრულყოფას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამაზეა ლაპარაკი ერევნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან მ. მურადიანთან „პრავდის“ კორესპონდენტების ი. არაქელიანისა და ე. შაკაიას საუბარში **„აღმასკომმა ხაჩივარი მიიღო“**.

ნომერში მკითხველი ნახავს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ცხოვრების ამსახველ სხვა მასალას.

**ПРАВДА**

## გეოლოგის დღის აღსანიშნავად

**თბილისის** შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა გეოლოგის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა ი. გოგიტიძემ.

გეოლოგებს მიესალმნენ საქართველოს გეოლოგთა, საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლ. ფაბუნია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე რ. ღამბაშიძე, თერჯოლის გეოლოგიურ-საზვერა პარტიის მბურღავი ოსტატი გ. ფანჩულიძე, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ო. მდივნიშვილი.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).



ედიტორიალი
ედიტორიალი
ედიტორიალი
ტელეტაიპი გადმოგვცემს

## მხარს უჭერენ საბჭოთა ინიციატივებს

**ნიუ-იორკი,** 1 აპრილი. (საკდესის კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფართოდ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ახალ საბჭოთა წინადადებებს ატომური ომის თავიდან აცილებისა და უწინარეს ყოვლისა ატომური იარაღის შემდგომი წარმოების შეწყვეტისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში დიდად აფასებენ საბჭოთა სამშვიდობო წინადადებათა ჰუმანურ ხასიათს, რომლებიც საყოველთაო და სრულ განიარაღებას შეეხება. ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსაკუთრებით გაცხოველებული მსჯელობის საგანი ვახდა განიარაღების საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი სპეციალური სესიის გამო, რომელსაც მიმდინარე წლის მაის-ივნისში მოიწვევენ.

## ვაშინგტონის სიტყვები და საქმეები

**ნიუ-იორკი,** 1 აპრილი. (საკდესის კორ.). პრეზიდენტის 1976 წლის საარჩევნო კამპანიის დროს დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა საზღვარგარეთ ამერიკის შეიარაღების გაყიდვის მოცულობის შემცირებას.

მას შემდეგ გავლილმა დრომ გვიჩვენა, რომ ყველა ეს წინასაარჩევნო დაპირება ვერა და ვერ განხორციელდა. ამერიკის შეერთებულთა შტატებმა არა თუ, ბევრი-ცარა საზღვარგარეთ შეიარაღების მიწოდება, არამედ მნიშვნელოვნად გაათაორთოცა იგი. იქიდან როგორ წინათ, ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ ინარჩუნებს ლიდერობას ამ სასიკეთო ბიზნესში. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თუ 1966 წელს ამერიკელი იარაღის გაყიდვის მოცულობა 1,89 მილიარდ დოლარს შეადგენდა. 1972 წელს — 4,1 მილიარდ დოლარს, ხოლო 1973 წელს — 5,02 მილიარდ დოლარს, 1977 წელს კი ციფრი 10 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

უკანასკნელ წლებში არსებითად შეიცვალა პენტაგონის კლიენტურის შემადგენლობაც. 1970 წლამდე ამერიკული იარაღის წამყვანი მიმღებები იყვნენ პენტაგონის ისეთი ტრადიციული მოკავშირეები, როგორიც არიან ევროპის ქვეყნები, ნატოს აგრესიული ბლოკის წევრები, იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და კანადა. ახლა კი ამერიკული იარაღის ძირითადი მასა ეგზავნება „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს, რომელთა წილად მოდის მთელი სამხედრო მიწოდების 60 პროცენტი. იცვლის რა თავის სტრატეგიულ მიზნებს და ხელმძღვანელობს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაცვით, ამერიკის შეერთებული შტატები გაძლიერებით აწვდის იარაღს მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა აფეთქებად საშიშ წერტილს. ამ იარაღით ამარაგებს ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის დიქტატორულ და მარიონეტულ რეჟიმებს. ამერიკული იარაღის ძირითად მიმღებთა ნუსხაში არიან ისრაელი, საუდის არაბეთი, სამხრეთი კორეა, ურუგვაი, ჩილე და სხვა ქვეყნები.

შეიცვალა საზღვარგარეთ საექსპორტო იარაღის ხარისხიც. თუ წინათ პენტაგონის კლიენტები სწერდებოდნენ მოძველებულ და ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შეიარაღებიდან მოხსნილ ნიმუშებს, ახლა მათ მიეცათ ყველაზე თანამედროვე ავტიკიური იარაღის შეძენის შესაძლებლობა.

იარაღის უშუალო მიწოდების გარდა, შეერთებული შტატები გაძლიერებით აღწევს „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში სამხედრო ტექნოლოგიის ექსპორტის გზით და კონტრაქტებს დებს ამ ქვეყნებში სამხედრო ქარხნების მშენებლობისათვის. პენტაგონის მონაცემებით, ახლა ამერიკის შეერთებული შტატები 50 ასეთ ერთობლივ პროექტში მონაწილეობს.

## ვაჭრობა სეპარატული გარიგების გამო

**ისრაელის** თავდაცვის მინისტრა ეეიცმანს კაიროში მოლაპარაკება ჰქონდა ეგვიპტის პრეზიდენტ სადათთან და სამხედრო მინისტრ ალ-გამასისთან. როგორც ისრაელის მინისტრმა თქვა, მოლაპარაკებამ „მეგობრული ატმოსფეროში“ ჩაიარა. მიუხედავად ამისა, მხარეებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ კომპრომისისათვის, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დაეყოვნებლივ აღდგენილიყო ეგვიპტე-ისრაელის სამხედრო და პოლიტიკური კომიტეტების მუშაობა.

პოლიტიკური. მეთვალყურენი ამასთან დაკავშირებით გამოთქვამენ აზრს, რომ სადათს, რომელიც ქვეყნის შიგნით მოკლებულია საკმარის მხარდაჭერას და გრძნობს მზარდ იზოლაციას არაბულ სამყაროში, ვერ გადაუწყვეტია აშკარად დაეთანხმოს ისრაელის სეპარატული შეთანხმების დადების პირობებს, რაც კაპიტულანტურია ეგვიპტისათვის. ისრაელის მინისტრს კი კაიროში არ ჩამოუტანია რაიმე ახალი წინადადებანი და იცავდა ტელ-ავივის წინანდელ მოთხოვნებს.

საკულისხმოა, რომ ეგვიპტის მთავრობა, როგორც ლონდონის გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსის“ კორესპონდენტი იუწყება, ცდილობდა კაიროში ეეიცმანის ვიზიტი საიდუმლოდ შეენახა, და შეშობდა, რომ ბეგინის ემისარის მიერ ისრაელის მკაცრი პოზიციის დადასტურება კიდევ ერთხელ გამოავლენდა სადათის სუსტ მხარეებს, რომელიც იძულებულია სეპარატული მოლაპარაკება განაგრძოს მიუხედავად ამისა, რომ მისი პარტნიორი უხეში ძალის პოზიციით მოქმედებს. პარიზის „ტატენი“ ეგვიპტეში ეეიცმანის გამგზავრებას განმარტავს ტელ-ავივის მსურველობით „მოიგოს დრო“. მართლაც, ისრაელს უმუალო საბუთი აქვს ყოველწარამდე გაჭიანუროს ეგვიპტესთან შეთანხმების ხელმოწერა. ისრაელის ლიდერებს მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკებაზე ჩიხის შენარჩუნება ასუსტებს სადათის ისედაც მერყევ პოზიციებს, აიძულებს მას ახალ დათმობებზე წავიდეს და საბოლოო ანგარიშით დაღოს სეპარატული გარიგება ისრაელის მიერ წამოყენებული პირობებით.

ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელია შეერთებული შტატების პოზიცია. პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა, რომელიც პრესკონფერენციაზე გამოვიდა ბრაზილიის დედაქალაქში ვიზიტად ყოფნის დროს, განაცხადა, რომ, გაშინგტონის აზრით, ბეგინი „საკმარისად მოქნილია“ ეგვიპტესთან სეპარატული მოწესრიგების მიღწევისათვის. ამ განცხადებას, რომელიც ადასტურებს, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს ისრაელის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, ალბათ, როგორც ფრანგული გაზეთი „ორორი“ აღნიშნავს, „კმაყოფილებით შეხვდა ისრაელის მთავრობის მეთაური“.

(საკდესი).

## ღალატის სამარცხვინო გზა

**ლიმა,** 1 აპრილი. (საკდესი). პეკინის ახლანდელი ხელმძღვანელობა თავის საგარეო პოლიტიკაში მთლიანად გაუდგა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, სულ უფრო მჭიდროდ კრავს პირს ყველაზე რეაქციულ იმპერიალისტურ ძალებთან და განაგრძობს ღალატის ამ სამარცხვინო გზას, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ პერუს „კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც გაანალიზებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა საგარეო-პოლიტიკური კურსი.

პერუს კომუნისტური პარტია ეხება პეკინის რეაგირებას სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამსწინანდელ მიმართვაზე და მაოისტთა პასუხს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ აშკარა გამოხდომად მიიჩნევს.

**იასირ არაფატის ინტერვიუ**

**პარიზი.** 31 მარტი. (საკდესი). **„ლუმანიტეს“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა განაცხადა, რომ სამხრეთ ლიბანში ისრაელის აგრესიის მიზანია მოსპოს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, პალესტინელი ხალხი და პალესტინის წინააღმდეგობა.** ეს, ხაზი გაუსვა ი. არაფატმა, თვით ბეგინმაც აღიარა, და ამის შესახებ ლაპარაკი იყო აგრეთვე კნესეტის მიერ მოწონებულ რეზოლუციაში. ამგვარი ოპერაცია შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ამერიკის ადმინისტრაციის თანხმობით.

ჩვენთვის გასაგებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ ლიბანში საერთაშორისო ძალების გაგზავნას, თქვა ი. არაფატმა. შეძლებისდაგვარად ყოველნაირად მხარს დავუჭერთ ამ ძალებს მისიის შესრულებაში, რომლის მიზანია ბოლო მოეღოს ოკუპაციას.

## ეგვიპტის სამეფო ოჯახი

**ბუენოს-აირესი,** 1 აპრილი. (საკდესი). ბრაზილიის ,ეროვნული ბიბლიოთეკა ,ეროვნული ,ეროვნული ,ეროვნული

**პრობლემები და პერსპექტივები ● საუბარი „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან**

# აღვაღვინოთ, დავიცვათ, გავაფოთიანოთ!

**ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თითოეული მოქალაქის ღვიძლი საქმე და კონსტიტუციური მოვალეობაა**

**ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა.**

**საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტიდან, მუხლი 66.**

**დღეს** საბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება, რათა სამაგალითოდ დავიცვათ, გონივრულად გამოვიყენოთ და მომავალ თაობებს შევუნახოთ ჩვენი ისტორიისა და კულტურის ძეგლები. ამის საუკეთესო პირობებს, მეცნიერულ და სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის საბჭოთა ქვეყნის ძირითადი კანონი—სსრ კავშირის კონსტიტუცია და ხელმძღვანელი ორგანოების ნაგანგებო გადაწყვეტილებანი და მითითებანი, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის დადგენილება „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, კულტურის მინისტრის მოადგილე; რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი ზოთა ყავლაშვილი და არქიტექტორი გელა ჯაფარიძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილქალაქპროექტის“ მე-4 და მე-8 არქიტექტურული სახელოსნოების ხელმძღვანელები.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საუბრის მოკლე სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

□

**ვ. ბერიძე:** მოგეხსენებათ, დღეს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა, მათი მოვლა-პატრონობის მდგომარეობა ყოველი ერის, ყოველი ქვეყნის კულტურული დონის მაჩვენებელია. განსაკუთრებით მწვავედ დგას მთლიანად ისტორიული ქალაქების ან მათი ცალკეული უბნების გადარჩენის საკითხი. დროის შესაბამისად ქალაქი იზრდება, ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით ჩნდება ახალი პრობლემები, საჭირო ხდება ძველი მაგისტრალების გაფართოება, ზოგჯერ, როცა ეს გარდაუვალია, იძულებული არიან დაანგრიონ მნიშვნელოვანი ძეგლიც კი. ამბობ ამ საკითხებს ძალიან ღრმა შესწავლა სჭირდება. ახლა ნათელია, რომ საქართველოში ბევრი რამის გადარჩენა შეიძლება ჩვენი მომავალი თაობისათვის. თბილისის ისტორიული ნაწილის ამა თუ იმ უბანში შეიძლება ყველა სახლი არ იყოს ერთნაირი მნიშვნელობის, მაგრამ ისინი მთლიან ხედს ქმნიან და მათ ხელაღებით ვერ დაანგრევ. დიდად მნიშვნელოვანია საბინაო საკითხის გადაწყვეტა, ძველი შენობების მოგრნიზაცია. ცხადია, მთელ უბნებს მუზეუმად ვერ გადავაქცევთ. ეს უბნები, ქალაქის ცოცხალი ორგანიზმის ნაწილი, საჭიროა ცოცხლობდეს და დღეგანდელობას ემსახურებოდეს. აქ არის ძველი საცხოვრებელი სახლები, რომელთა უმრავლესობა ასევე უნდა დარჩეს, მაგრამ დღევანდელ პირობებთან იყოს შეხამებული. არ შეიძლება იყოს ამდენი მიშენებული ნაწილები. მათ შეძლებისდაგვარად უნდა დაუბრუნდეს ის სახე, რომელიც ჰქონდათ თავდაპირველად, როცა შენდებოდა.

საგულისხმოა, რომ ძეგლების დაცვის თაობაზე ჩვენ მშვენიერი კანონები და დადგენილებები გვაქვს. ჩვენს კონსტიტუციაში, კერძოდ მის 68-ე მუხლში ჩაწერილია, რომ **„ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა“.** ცხადია, შესაბამისი მუხლი შეტანილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტშიც, რომელსაც ამ დღეებში ჩვენი ხალხი დიდის გულისყურით განხილავს და სწავლობს. საგანგებო მუხლი არის შეტანილი სსხლის სამართლის კოდექსშიც. ყველაფერი ეს ძალიან მძლავრი იარაღია, მაგრამ იარაღიც ჟანგდება, თუ არ მოვიხმართ... განსაკუთრებით ხელმძღვანელებმა, ჟანრიანად უნდა გამოიყენონ ეს კანონები და დადგენილებები ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა.

არ არის სწორი, როცა ზოგჯერ ადგილებზე ცალკეული ხელმძღვანელები ფიქრობენ, ძეგლების დაცვა უწყებრივი საქმეაო, და არ ზრუნავენ ამ საერთო საქმისათვის. განა ასეთ კაცს პატრიოტი ჰქვია? ცხადია, ამას ყველაზე არ ვამბობ? არიან ადამიანები, რომლებიც იცავენ ძეგლებს, ზრუნავენ მათი განახლებისათვის. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით დაარსდა „გარეჯობა“. ჩვენ ვიყავით იქ და დავრწმუნდით, რომ ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული: ხალხი თვითონ მოდიოდა, არავის არ დაუძალებია. არის ყველა შესაძლებლობა, რომ ზოგიერთ ისტორიულ ძეგლს დავაკისროთ ახალი ფუნქცია, დავიცვათ და გამოვიყენოთ სადღეისო მიზნების შესაბამისად.

ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ ამ მხრივ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი, ძეგლთა დაცვის საზოგადოება, კულტურის სამინისტრო, განათლების სამინისტრო. პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის წევრები პირდაპირ გულს გაგიხარებენ; აკეთებენ ძეგლების ჩანახატებს, ესკიზებს. ეს ბავშვები ზნეობრივად ამაღლებს. ასეთი ბავშვი არ მივა და თავის სახელს ძეგლზე არ ამოკაწრავს. ძეგლების მოვლა მარტო წარსულში ყურება როდია, ეს არის მომავლისაკენ ცქერა, ეს არის დიდი საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობის პრობლემა.

ერთი საკითხიც. მცხეთაში შექმნილია ძეგლების დაცვის გენერალური დირექცია. ვფიქრობ, ასეთი დირექციები უნდა არსებობდეს თბილისშიც, თელავშიც და სიღნაღშიც, აი ისე, როგორც, მაგალითად, ბორჯომში არის კურორტის დირექცია. ამით ყველაფერი ერთ რგოლში მოიყრის თავს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი დირექციების შექმნით სასარგებლო და საჭირო საქმე გაკეთდება.

**თ. კვირკველია:** უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის ამოცანა ჩვენში მხოლოდ თბილისთან არ ამოიწურება, თუმცა სწორედ თბილისშია ეს პრობლემა მეტად თვალსაჩინოდ გამოკვეთილი...

საქმე იმითაც რთულდება, რომ თბილისის ისტორიული უბნების განაშენიანების ძირითადი ქსოველი, რომელიც გასული საუკუნის სახლებით არის შექმნილი, მეტისმეტად დაძველდა. სწორედ ჩვენ, 70-იან და 80-იან წლებში მცხოვრებ თბილისელებს გვხვდა წილად ძველი თბილისის განაშენიანების აღდგენა და ამ მისიას ღირსეულად უნდა გავართვათ თავი. საქმის სახვალიოდ გადადება ძეგლს დაღუპვას უქადის და შთამომავალთ აღსაგებენ-სპასტრონად ალარაფერი დარჩებათ.

ჩვენი საზოგადოებრიობა მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პრობლემას. ამას მოწმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბოლო წლების მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონი **„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.** ამრიგად, როგორც კანონმდებლობაში, ისე საადირექტივო დოკუმენტებში ნათლად არის ასახული ქალაქების ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის აუცილებლობა. მაგრამ ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად უმთავრესი ამ დადგენილებების პრაქტიკული განხორციელება. პრაქტიკულად კი ჩვენი ქალაქების ისტორიული უბნების ბედ-იღბალი დღეს ამ ქალაქების ხელისუფალთა ხელშია, მათ განკარგულებაშია ფინანსები, სამშენებლო მასალა, მუშახელი, სამუშაოთა კოორდინაციის შესაძლებლობები.

მართებულად თქვა პატივცემულმა ვახტანგ ბერიძემ, რომ ქალაქების ისტორიულ უბნებს ვერ გამოვყოფთ სამუზეუმო რაიონებად. პირიქით, მათ თანამედროვე ქალაქში სასარგებლო ფუნქცია უნდა შეასრულონ. ამ უბნებს სათანადო ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქალაქმშენებლობისა და ეკონომიკური განვითარების გეგმებში. თუ შენობა არ ასრულებს ადამიანისათვის სასარგებლო დანიშნულებას, იგი უპატრონოდ რჩება და ბოლოს და ბოლოს მოისპობა.

თბილისის ისტორიული უბნები ნაკრძალად გამოცხადდა. ეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებაა. მაგრამ, საამწუხაროდ, ძველი თბილისის რეკონსტრუქციის ცდები ვერა და ვერ გასცდა ერთეული სახლების გადაკეთების პროექტების შედგენას. „თბილქალაქპროექტში“ შედგენილია მეტად საინტერესო პროექტი „საჩინო“, სადაც დარეჯანის სასახლის მახლობელი უბნის სარეკონსტრუქციო წინადადებებია წარმოდგენილი. ეს არსებითად პირველი ცდაა ვრცელი უბნის ერთიანი რეკონსტრუქციისა.

იმის თქმაც არ შეიძლება, თითქოს სრულიად არაფერი კეთდებოდეს ძველი თბილისის რეგენერაციის საკითხში. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ იცვალა სახე ბარათაშვილის ქუჩის ნაწილმა. ეს მაგალითი მოკრძალებული ილუსტრაციაა იმისა, თუ რა მდიდარი შესაძლებლობებია ძველ განაშენიანებაში და რამდენად მოიგებს თბილისის იერი, თუ დროულად გამოვიყენეთ ეს შესაძლებლობანი.

ძველი უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის წარმატება დღეს, ზპირად წმინდა ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო სფეროში უნდა ვეძიოთ. თანაც ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა სპეციალისტს უნდა ენიჭებოდეს. საქმის კარგად წარმართვის სურველის დროსაც კი ყველაზე დიდი შეცდომები, ჩვეულებრივ, უცოდინარობით არის ხოლმე გამოწვეული.

**ი. ციციშვილი:** დღეგანდელი ჩვენი მრგვალი მაგიდის საუბრისათვის აღებული საკითხის გადაწყვეტა უკვე რეალურ საფუძველზე დგება. თქვენ, ალბათ, იცით, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებით სულ ახლახან შეიქმნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმის მოგვარებას. იგი ფაქტიურად რესპუბლიკაში ძეგლთა დაცვა-გამოყენებისათვის შექმნილ ყველა ორგანიზაციას უხელმძღვანელებს და დაეხმარება. გასაკეთებელი კი, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრია.

(„კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან ირ. ციციშვილის გამოსვლა საფუძვლად დაედო ავტორისეგ ვრცელ სტატიას, რომელიც ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დაიბეჭდება. — რედ.).

**გ. ჯაფარიძე:** თბილისის ისტორიული ზონის რეკონსტრუქციის საქმეში ერთ-ერთი რთული პრობლემაა შესაკეთებელი სახლების მოსახლეთა უზრუნველყოფა ბინებით. თუ მხედველობაში მივიღებთ ქალაქის დაცვის ზონაში ჩასატარებელ სამუშაოთა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და ამ ზონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს, უეცილებელია, რომ ქალაქმა ყოველწლიურად (წინასწარი გეგმის მიხედვით), საგანგებოდ ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციის მიზნებისათვის გამოყოს საერთო საცხოვრებელი ფონდიდან (რომელიც დაახლოებით 400.000 კვადრატული მეტრია) წელიწადში ბინებიხ საჭირო რაოდენობის სპეციალური ფონდი, რათა შესაძლებელი იყოს რეკონსტრუქციის პერიოდში სახლებიდან მოსახლეობის შეუფერხებლად და დაუყოვნებლივ გამოყვანა.

აქ უკვე ითქვა, რომ ქალაქის ისტორიული უბნის დიდ ნაწილს დღესვე სჭირდება მიშველება. მაგრამ რეკონსტრუქციის ერთდროულად დიდი მასშტაბით წარმოება, ცხადია, ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ამიტომ დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკონსტრუქციის სამუშაოთა სწორ დაგეგმვას და თანამიმდევრობის დადგენას. ამის შესაბამისად პირველ რიგში ისეთი უბნების რეკონსტრუქცია უნდა დაისახოს, რომელთა განაშენიანებასაც წამყვანი ადგილი უჭირავს ქალაქის სივცოცხლის სტრუქტურაში, ქალაქის სახის შექმნაში და რომელთა ტექნიკური მდგომარეობაც უფრო მძიმეა.

თბილისის სახელმწიფო დაცვის ზონის აღდგენა-შენარჩუნებაში მონაწილე ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციისა და მიზანდასახული წარმართვის მიზნით, ვფიქრობ, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ ზონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბება. მის შტატში უნდა იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც დასაქმებული იქნებიან მხოლოდ დაცვის ზონის რეკონსტრუქციის საკითხებით. ეს უზრუნველყოფს ადმინისტრაციის მიერ ქალაქის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პრობლემის სწორ გაგებას, რაც განაშენიანების წარმატებით დაცვისა და აღდგენის აუცილებელი წინაპირობაა.

პრობლემის სწორი გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, რომელსაც შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი აზრით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიზანდასახული წარმართვა შესაძლოა იქ, სადაც უმჯობესად ადგენენ ქალაქის მომავალს.

ქ. თბილისის ისტორიულ ნაწილში წინასწარ დადგენილი რეჟიმის დაცვას ჭკაცრი კონტროლი უნდა დავუწესოთ და ყოველგვარი, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევა დადგენილი წესისა, გამოვლენილი და ფიქსირებული უნდა იქნეს. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ძველი თბილისის განაშენიანების დაცვა თანდათან საყოველთაო-სახალხო ჩვეულად ვაქციოთ.

**ო. სანეგლიძე:** თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი საპატიო ადგილი რომ უკავია მსოფლიო ხელოვნების საგანძურში. ამჟამად საქართველოში აღრიცხულია 5 ათასზე მეტი სხვადასხვა სახის მატერიალური კულტურის ძეგლი. მათი მოვლა-პატრონობა მეტად რთული და პასუხსაგები საქმეა. უკანასკნელ ხანებში ერთი-ორად და მეტად გაიზარდა ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციისათვის გამოყოფილი სახსრები. მიღებულია მთელი რიგი დადგენილებები, მითითებები, რეკომენდაციები ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეში პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ამ მეტად საპატიო და მნიშვნელოვანი საქმის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის გარკვეულ მუშაობას ეწევა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელიც ცდილობს ამ კეთილშობილურ საქმეში ჩააბას მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები. დიდ დახმარებას გვიწევენ ცნობიერი მეცნიერები, სპეციალისტები, სამშენებლო ორგანიზაციები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ძეგლთა მოვლა-დაცვისა და პროპაგანდის საქმე შედარებით მაღალ დონეზეა აქარაში, გორში, რასაც ვერ ვიტყვით ყველა რაიონსა და ქალაქზე. ყოველდ შეუწყნარებელია კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფილიალების წარმომადგენლების გულგრილი დამოკიდებულება რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ხუროთმოძღვრების ძეგლებისადმი. ამ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა ქარელისა და ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

არსებობის არცთუ ხანგრძლივი დროის მანძილზე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ საკმაოდ მომატებული მუშაობა გასწია, მაგრამ საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები, რისთვისაც ყველა პირობა გვაქვს. უკანასკნელ წლებში განმტკიცდა საზოგადოების ფინანსური ბაზაც, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ საქმის გაუმჯობესებისათვის. საჭიროა ხელმძღვანელი ორგანოების, საზოგადოებრიობის, მთელი ხალხის კიდევ უფრო მეტი აქტიური მხარდაჭერა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის დადგენილება და საგანგებო კანონი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია, რომლებიც დიდად შეუწყობენ ხელს ჩვენს რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების გაუმჯობესების საქმეს.

**ი. ჩხენკელი:** ვფიქრობ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ ამ „მრგვალი მაგიდის“ მოწვევა დროული და საჭიროა, რადგან ასეთი გულახდილი საუბრები საქმის წინ წაწევას, ალბათ, ხელს შეუწყობს. მაგრამ მარტო საუბრით და მსჯელობით რომ არაფერი გამოვა, ესეც ცხადია. აუცილებელია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად სად, რომელ ქალაქში და რაიონში რა მოცულობის სამუშაოა გასაკეთებელი. დღემდე არ ყოფილა ერთიანი ცენტრი — ორგანიზაცია, რომელიც თავის ხელში აიღებდა მთელს ორგანიზაციულ-პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. როგორც უკვე ცნობილია, ასეთი ცენტრალური ორგანიზაცია — მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო, საკმაოდ დიდი შტატით, უკვე ჩამოყალიბდა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სისტემაში. საპატიოა მისი მოვალეობა, პასუხსაგებია მისი საქმიანობა, და ყველაფერს რომ ღირსეულად გაართვას თავი, კვლავაც დასჭირდება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერა.

**უ. ბაქრაძე:** ძეგლების დაცვის საკითხებთან წლების მანძილზე სამსახურეობრივი მოვალეობით ვარ დაკავშირებული და შემიძლია გითხრათ: ამ მხრივ უფრო მეტი უნდა კეთდებოდეს რაიონებში. კულტურის ძეგლების მოვლა-დაცვა ერთ-ერთი უცვლელი პუნქტი უნდა იყოს რაიონული საბჭოების საქმიანობა. ვისაც ეს საქმე ეხება, ყველას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა-დავალება და პასუხსაც უნდა აგებდეს მისი შეუსრულებლობისათვის. თვითონ მოგეხსენებათ, ვერავითარ საქმეს ვერ მოებმება თავი, თუ მისი განხორციელებისათვის კონკრეტული პასუხისმგებლობა არავინ იკისრა... მაგრამ ვიდრე პრაქტიკულ მუშაობაზე გადავიდოდეთ, საჭიროა არსებობდეს დახვეწილი, ყოველმხრივ დამუშავებული გეგმა.

**ო. ტყეშელაშვილი:** დიახ, მართალს ბრძანებთ. ყოველმხრივ დამუშავებული, მე ვიტყოდი, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა აუცილებელია. სწორედ მეცნიერული! იმისათვის, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რა შევიტანოთ ამ გეგმაში, საჭიროა წინასწარ ჩავატაროთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელიც გაითვალისწინებს ისტორიული ქალაქების, მათი ცალკეული უბნების, ცალკეული ძეგლების შესწავლას ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ტექნიკური, ხუროთმოძღვრული და სხვა ასპექტით...

**შ. ყავლაშვილი:** პრობლემის სირთულე, სერიოზულობა და აქტუალობა ყველას კარგად გვესმის. ამას დღევანდელი საუბარიც იდასტურებს. ახლა უპირველეს ამოცანად მიმაჩნია, გამოძიებნოს მისი გადაჭრის პრაქტიკული გზები. თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენა-რეკონსტრუქციის საქმეს ისიც ართულებს, რომ მეცნიერები თავისას ამბობენ, არქიტექტორები თავისას, ქალაქის მესვეურებს კიდევ სხვა პრეტენზიები აქვთ. დრო კი მიდის, საქმე დაყოვნებას ვერ ითმენს. ზოგჯერ პროფილაქტიკური სამუშაოები მაინც უნდა ჩავატაროთ. იმის თქმა როდი მინდა, თითქოს საჭირო არ იყოს, რომ პროექტირებას წინ უძღოდეს დიდი სამეცნიერო-კვლევითი და აზომვითი სამუშაოები...

დაბოლოს ერთი საკითხიც: სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ძველი თბილისის რეკონსტრუქციისას უნდა ჩატარდეს, მეტად სპეციფიკური იქნება და ცოტა რამ ექნება საერთო თანამედროვე მშენებლობის წარმოების ინდუსტრიულ მეთოდებთან. ცხადია, აუცილებლად იმ ხერხებით ვერ ვაშენებთ, როგორც ჩვენი წინაპრები აშენებდნენ, მაგრამ განსხვავება დიდი იქნება თუნდაც მშენებელი ოსტატების და ხელოსნთა საჭირო კადრების მხრივ. ძნელია წინასწარ გათვალისწინება ყველა იმ თავისებურებისა, რომლებსაც გადააწყდებით, ის კი ცხადია, რომ მშენებლობის ტემპიცა და სამუშაოთა ხასიათიც განსხვავებული იქნება. ამიტომ სწორედ დროულია სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციის თუ სახელოსნოების ჩამოყალიბება, რომლებიც სათანადო გამოცდილებასაც შეიძენენ მუშაობის პერიოდში და თავს მოუყრიან დღეს უკვე დეფიციტური სპეციალობის მშენებელთა კადრებს...

**ა. ბაჩიჩილაძე:** საქართველოს კომპარტია, ჩვენი ხელისუფლება რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ სიძველეთა მიმართ, ამის მაგალითად გამოდგება ქუთაისის ბაგრატის ტაძარი (რომლის რესტავრაციაზე დიდი თანხები დაიხარჯა), აგრეთვე ის ხარაჩოები, რომლებიც აღმართულია ჩვენი წარსულის შესანიშნავი ძეგლების — სვეტიცხოველის, ატენისა და სხვათა აღდგენითი სამუშაოებისათვის. იქ, სადაც რაიონის ხელმძღვანელობა თავის სიმაღლეზეა, ესმის ამ დიდებული ძეგლების მნიშვნელობა, მათ ჯეროვნადაც უვლიან, მაგრამ ყველგან ასე როდია.

ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევში მდებარეობს მეცხრე საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც ამშვენებს XII საუკუნის შესანიშნავი ფრესკები. ეს სიძველე საკმაოდ მოუვლელია, ძეგლს არა აქვს დაფა, რომელზეც, როგორც დაკანონებულია, აღნიშნული იქნება, რომ ძეგლს სახელმწიფო იცავს და მისი ხელყოფა კანონით ისჯება.

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხევსურეთსა და სვანეთს. ბატალის ხელშეხება, მისი ევროპეიზაცია მიზანშეწონილი არ არის. იგი უნდა დარჩეს, როგორც თვითმყოფი, წარსულის უნიკალური ძეგლი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თბილისი. ბოლო უნდა მოეღოს ძველ უბნებში თვითნებურ მშენებლობასა და მიშენებებს. თბილისის თავისებური კოლორიტი უნდა დავიცვათ და შევინარჩუნოთ.

## რედაქციისაგან:

**ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა და გამოყენება, ანუ მათი ჩაყენება თანამედროვეობის სამსახურში, მხოლოდ რამდენიმე დღის, რამდენიმე თვის, ან, თუ გნებავთ, რამდენიმე წლის საქმე როდია. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი საზოგადოებრიობის მუდმივი საზრუნავი და საფიქრალი, ხანგრძლივი დროისათვის გათვალისწინებული სისტემატური, თანამიმდევრული, გამიზნული, მეცნიერულად მოფიქრებული ღონისძიებების ერთიანი კომპლექსი. ამიტომ „კომუნისტის“ რედაქცია ფიქრობს მრგვალი მაგიდის მუშაობა დამთავრებულად არ ჩათვლოს და საუბარი დაუსწრებლად გაგრძელოს. დღეიდან დაუსწრებელ მრგვალ სარედაქციო მაგიდასთან სასაუბროდ ვიწვევთ ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, იმათაც, ვინც ამ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ საქმესთან სამსახურეობრივი მოვალეობით არის დაკავშირებული, და იმათაც, ვინც თავისი პირადი მონაწილეობით, რჩევით, საქმიანი წინადადებით თუ კრიტიკული შენიშვნებით აქტიურად შეუწყობს ხელს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების ამოცანების გადაწყვეტას და მას თავის ღვიძლ საქმედ გაიხდის.**

**ველით ოქვენს წერილებს, წინადადებებს, შენიშვნებს, რჩევას, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი გაზეთის მკითხველებო!**

**გაზეთ „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან საუბარი ჩაიწერა და დასაბეჭდად მოამზადა ლ. კიკნაძემ.**

**სურათზე: გაზეთ „კომუნისტის“ მრგვალი მაგიდის მონაწილეები.**

ვლ. გინზბურგის ფოტო.

**ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხალხის კუთვნილებაა. საბჭოთა სახელმწიფო, ხელმძღვანელობს რა კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ლენინური პრინციპებით, ყველა პირობას ქმნის კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის ძეგლების დაცვისა და ეფექტურად გამოყენებისათვის“.**

**საქართველოს სსრ კანონიდან — „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.**

**დღეს ჩვენს ქვეყნიურ რესპუბლიკაში**

# მზიური აფხაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გვაცნობებენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი**

## დიმიტრი გულიას სახელობისა



**აფხაზეთის ზღვისპირეთის სახელგანოქმული კურორტის — ბიჭვინთის კონცხი კიდევ უფრო დაამშვენა ახალმა ნაგებობამ — აშენდა და შარშან პირველი დამსვენებლები მიიღო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შემოქმედებითმა სახლმა.**

**ჯანმრთელობის ამ ახალი კერის თორმეტსართულიან, არქიტექტურის თანამედროვე სტილით აგებულ კომფორტულ შენობაში დამსვენებელთა განკარგულებაშია უმთავრესად ორ-ორსაწოლიანი საძინებელი პალატები და 40 ლუქსი. შემოქმედების სახლი ერთდროულად 350-400 დამსვენებელს ემსახურება. აქ არის ნათელი სასადილო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამზარეულოთი, ბარი, კინოდარბაზი, სპორტული მოედნები და ტარაღები, კეთილმოწყობილი პლაჟი და სხვა ნაგებობანი.**

**შენებლობა განახორციელა გაგრის „კურორტმშენის“ ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა.**

**სახლი დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე, თავაზიანი მომსახურე პერსონალით.**

**როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსახსოვარი მოვლენა მოხდა. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ბიჭვინთის შემოქმედების სახლს მიენიჭა აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ოსსების ძე გულიას სახელი.**

**აფხაზეთის საზოგადოებრიობა, ყველა მშრომელი დიდი სიხარულით და მოწონებით შეხვდა ამ მოვლენას.**

**სურათზე:** მწერალთა შემოქმედებითი სახლი ბიჭვინთაში.

**ვ. მელიქიანის ფოტო.**

### ინტერნაციონალური მეგობრობის სალამო

**საქართველოს** კომპარტიის სოხუმის რაიკომისა და აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის ინიციატივით სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის სალამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის, ლენინის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების „ეშერასა“ და „აფსნის“, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის წარმომადგენლებმა. აქ იყვნენ აფხაზეთის მწერლები, სოხუმის თეატრის მსახიობები.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმში მონაწილეობდნენ აგრეთვე პიონერები. საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მხატვრული თვითმოქმედების ინტერნაციონალურმა ანსამბლმა.

### ორი მილიონი დამთვალიერებელი

**სამ** წელზე მეტია, რაც მოეწყო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ათონის უნიკალური კარსტული მღვიმის კომპლექსი.

გახსნის დღიდანვე მიწისქვეშა საოცრებათა სანახავად უამრავი დამთვალიერებელი მოეშურება, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ისე უცხოთიდანაც. აქ სტუმრებს იზიდავს არა მარტო ამ უნიკალური მღვიმის ზღაპრული სილამაზე, არამედ დამხვდურთა კარგი მასპინძლობა და თავაზიანი მომსახურება.

როგორც ჩვენთან საბაჭოთა კომპლექსის დირექტორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვ. ვოუბამ განაცხადა, — მღვიმე გახსნის დღიდან უკვე ორ მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

### ბიბლიოთეკა — გამოფენის მონაწილე

**ბალის** რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგე ა. ეთერია) წელს უკვე მესამედ გახდა სსრ კავშირის საბალნო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე. საკავშირო გამოფენაზე წარდგენილი ექსპონატები თვალნათლივ ასახავს ბიბლიოთეკის კოლექტივის და ნორჩი მკითხველების საქმიანობას.

ამას წინათ ბიბლიოთეკის აქტივისტებმა გადაწყვიტეს შეფობა გაეწიათ ენგურჰესის უნიკალური მშენებლობის მაღლივი კაშხლის მეკლდეურთა ახალგაზრდული ბრიგადისათვის. ნორჩი მკითხველები რამდენჯერმე ენგურჰესის მშენებლებს, გამართეს კონცერტები, კითხვა-პასუხის საღამოები, ვიქტორინები.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებისთანავე ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა. სტენდზე მოთავსებულ ლიტერატურას, ფოტოდოკუმენტებს და სხვა მასალებს უურადღებით ეცნობიან ახალგაზრდა მკითხველები.

### მაღაზია ქარხანაში

**ქარხანა** „სოხუმხელსაწყო“ თანამედროვე ტიპის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა აფხაზეთში. მის ტერიტორიაზე გიახლესა სამრეწველო საქონლის ახალი მაღაზია — სოხუმის თვითმმართველობის უნივერსალური მაღაზიის ფილიალი. საწარმოს კოლექტივი ამ სიახლეს მოწონებით შეხვდა. აფხაზეთის ავტონომიურ

# ფაქტები კი სხვას ლაღადებენ...

ამ ოთხმა საქმემ, წინ რომ გვიდევს, მკითხველო, და თქვენ უნდა გაგაცნოთ, პეტრიკელაზე განაგონი ამბავი გაგვახსენა.

პეტრიკელას, ზოგიერთი ჩვენი თანამედროვის მსგავსად, ერთი სენი სჭირდა: თავისი თავი ყოველთვის მართალი ეგონა, სხვა კი — მტყუანი.

უსაფუძვლო დავის, კინკლაობისა და ჩხუბისაგან თავგაბეზრებულმა მეზობელმა მისი ალაგმვა მოინდომა და სასამართლოში უჩივლა.

საღამო ხანს სოფლის მარაზე ფლატუნით მომავალი პეტრიკელა შეხიბნეს თუ არა, მეზობლები მიეგებნენ, ამბავი გამოკითხეს.

— რა ქენი ჭი, რა გადაგწყვიტა სასამართლომ?

პეტრიკელა ერთხანს გაოგნებული შეჰყურებდა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილ მეზობლებს, ბოლოს სიჩუმე დაარღვია და ჯიუტად განაცხადა:

— ქმე გამამტყუნეს, მარა არ გავმტყუნდი...

თავის გამტყუნება, მოგეხსენებათ, არც ისე იოლი საქმეა. რთულ, ფსიქოლოგიურ პროცესში გადაიზრდება ხოლმე საკუთარ თავთან ჭიდილი. საოცარია პირდაპირ, მაინცდამაინც მაშინ შემოაკლდება ადამიანს გამბედაობა, კეთილშობილება, სულგრძელობა, კაცთმოყვარეობაც კი... სხვის წინაშე საკუთარი თავის გამტყუნება რომ შეძლო, ჯერ ეგოისტური ნაჭუჭისაგან უნდა გთავისუფლდე, დათმო...

იმ საქმეების მიხედვით, რომლებიც წინ გვიდევს, ადამიანები ვერ იცილებენ ეგოისტობის ნაჭუჭს, მისი მონა ხდებიან და ღალატობენ კაცურ კაცობას.

რა ქენა საწყალ პეტრიკელას... ვერც იმან გაიმეტა გასამტყუნებლად თავი.

საქმე პირველი: თბილისელი მომჩივანი ამირან მუმლაძე.

ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით რაზმაძის ქუჩის 45-ე სახლი, რომელიც ა. მუმლაძის დედას ეკუთვნოდა, დაინგრა. სანაცვლოდ ორი ბინა მისცეს: ერთი ოროთახიანი, ერთი სამოთახიანი, ხოლო პირადად მუმლაძესა და მის ცოლ-შვილს „ვაკე-169“ სამშენებლო კოოპერატივმა სამ სულზე ოროთახიანი ბინის საგარანტიო წერილი მისცა სახლის მშენებლობის დამაგრებამდე.

1968 წელს ცოლ-ქმარს უსიამოვნება მოუვიდათ და გაიყარნენ. მეუღლე ე. კაზიევამ საგარანტიო ხელშეკრულების შეცვლა და ერთი ოროთახიანი ბინის ორ თითოოთახიან ბინაზე გადაცვლა მოითხოვა. სასამართლო ორგანოებმა დაკმაყოფილეს კანონიერი თხოვნა: კაზიევას ბავშვთან ერთად ერთოთახიანი ბინა მიკუთვნეს. ა. მუმლაძესაც არგუნეს მსგავსი ბინა. აქედან დაიწყო ყველაფერი.

ა. მუმლაძემ მეუღლესთან საბინაო დავის გადაწყვეტა უმართებულოდ მიიჩნია. განცხადებაში უკმაყოფილებას გამოთქვამდა სასამართლო ორგანოების მიმართ. დაჩაგრული კაცის იერით დაწერა ერთი, ორი, ათი განცხადება...

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს საგანგებოდ დაეკალა საფუძვლიანად შეესწავლა მომჩივანის პრეტენზიები. „სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებები სწორია და მათი გაპროტესტების საფუძველი არ არსებობს“ — ასეთი იყო დასკვნა.

საჩივრის მთავარ მოტივად ა. მუმლაძე იმას ასახელებდა, რომ დავის განხილვის დროს დაშვებული იყო პროცესუალური დარღვევები, კერძოდ, კოოპერატივის გამგეობის სხდომას არ დასწრებია ზოგიერთი წევრი.

საქმის შესწავლა ახლა იურიდიული დარგის პროფესორებს დავალათ, მათაც ანალოგიური პასუხი გამოგზავნეს. მკითხველო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ დღევანდელ ნათელ საქმეს ამდენი სასამართლო და მიმოწერა არ ჭირდებოდა. ა. მუმლაძის საჩივრების შესწავლას კი დიდი დრო და ენერგია მოხმარდა, ავტორი პეტრიკელასავით ჯიუტად გაიძახის — მე ვარ მართალიო. ვერ მოუნელებია „ცოლმა რომ აჯობა“ და ბინა გაუყო, თითქოს შვილის მატერიალური უზრუნველყოფა მისი ვალდებულება არ იყოს, არც მუშაობს და უკვე სამი წელიწადია არც ალიმენტს იხდის.

საქმე მეორე: ახლა უფრო მეტი სტატის მქონე მომჩივანი უნდა წარმოგიდგინოთ — ზესტაფონელი ნინო ხუჯაძე.

1950-1962-1967-1969-1973 წლები მოქალაქე ნინო ხუჯაძის ენებათაღლეკვის ანუ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მისი საჩივრების შესწავლის მნიშვნელოვანი თარიღებია, თუ არ ჩავთვლით იმ წვრილმან განცხადებებს, რომლებსაც ყოველდღიურად გზავნის ნინო ხუჯაძე.

რას ჩივის ეს ქალი?

სამსახურში ხელფასს სწორად არ იძლეოდნენ, მეზობელმა ხუთი კრამიტი დამიზიანაო, ჩემი დაფნის ბუჩქს ტოტი მოსტეხესო, სახლის გვერდით ახალი შენობა ნორმების დარღვევით ააგესო და ვინ იცის კიდევ რას არ წერს.

შრომის დისციპლინის დარღვევისა და უსაფუძვლო საჩივრების წერილათვის მას მრავალჯერ დაედო პარტიული და დისციპლინური სასჯელი.

ნ. ხუჯაძის გაუთავებელი საჩივრების გასარკვევად გამოიყო კომისია, პარალელურად საქმის შესწავლა დაევალა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, მაგრამ ვერც ერომა კომისიამ საჩივრის საფუძვლიანობა ვერ დაადგინა.

თანამშრომლების, მუშების, მეზობლების გამოკითხვით გამოირკვა, რომ ხუჯაძე კონფლიქტური პიროვნებაა, მასთან ურთიერთობა შეუძლებელია და ამიტომაც არიდებენ თავს.

საქმე მესამე: ხომ გაგიგონია ანდაზა — ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს უყვებოდაო. სწორედ ასე სჭირს მეუღლის საქმეზე მომჩივან ა. ჩუთლაშვილს, ოღონდ ამ შემთხვევაში პირიქით ხდება — ცოლია ლაშქარს. აღექსანდრე ჩუთლაშვილი ლაგოდეხის საგამოძიებო და რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს იმის გამო უჩიოდა, თითქოს უსაფუძვლოდ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე და მსჯავრი დაედოთ მისი მეუღლის მაყვალა იაკობაშვილისათვის.

საქმის შესწავლით დადგინდა: მ. იაკობაშვილი ლაგოდეხის წინგის მაღაზიის გამგე-გამყიდველად მუშაობდა. დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა რაიაღმასკომის განათლების განყოფილების მთავარ ბუღალტერთან და ფინანსის მუშაკთან. მათთან ერთად ყალბი საფინანსო საბუთების საშუალებით დიდი ოდენობით მითითვისა სახელმწიფო ფული, სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულების გამოც დიდი თანხის დანაკლისი აღმოაჩნდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 1973 წლის 12 მარტის განაჩენით მ. იაკობაშვილს შვიდი წლის თავისუფლების აღკვეთა და პირადი ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს.

ალექსანდრე ჩუთლაშვილისა და მაყვალა იაკობაშვილის საჩივრები რამდენჯერმე განიხილა უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ, მაგრამ უსაფუძვლოდ მიიჩნია იხინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ქალის მდგომარეობა, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა გასაზრდელი, და შეიწყალა იგი. მთავრობის მიერ გამოჩენილ ჰუმანურობას უმადურობით უპასუხა ალექსანდრე ჩუთლაშვილმა, რომელმაც გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მეუღლის გამართლებისათვის მიეღწია.

ჩუთლაშვილის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა რომ იქონიოთ, გაგაცნობთ მის ახსნა-განმარტებას: „მე პირადობის მოწმობა და პასპორტი არ მქონდა (სტილი დაცულია), მქონდა ცნობა ლაგოდეხის საბჭოს მიერ 1972 წელს გაცემული, რომელიც გადავასწორე 1974 წლამდე. არც სამხედრო ბილეთი მაქვს, აღრიცხვაზე ვიყავი ლაგოდეხის სამხედრო კომისარიატში, აღნიშნული ბილეთი დაკარგე ოჯახიდან 1971 წელს, რაზედაც არსად არ გამიცხადებია დღემდე.

1969-1970 წლებში ვმუშაობდი ლაგოდეხის საყოფაცხოვრებო კომბინატში კალატოზად. 1970 წელს გავანაბე თავი და მას შემდეგ ოფიციალურად არსად მიმუშავია, ვმუშაობდი კერძოდ, უფრო მეტ დროს ჩივილს ვანდომებდი, ხელფურილით გაფრთხილებული ვარ მუშაობა დავიწყო“. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, რადგან ფაქტები თავისთავად ლაღაღებენ...

საქმე მეოთხე: რუიზან ელერდაშვილის საჩივრები სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნასა და ბიძის ბინიდან ამოწერას შეეხებოდა.

რუიზანს კარგი სამსახური ჰქონდა და მისი დატოვება ენანებოდა, მაგრამ ამაზე თავიდანვე უნდა ეზრუნა. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა ბუღალტრად. შრომის დისციპლინის არაერთზის დარღვევამ, ყოყოჩობამ და ქიშპობამ სავალალო შედეგადე მიიყვანა — სამუშაოდან მოხსნეს.

ჩივილს მაშინ აქვს აზრი, როცა საფუძვლიანია, როცა მოქალაქეს უკანონოდ სჯიან. მაგრამ თუ საქმე წაახდინა და დანაშაული ჩაიდინა, რამდენიც უნდა იჩივლოს, ვერაფერს გახდება.

* * *

თქვენ გაეცანით ოთხი საქმის შინაარსს, ისღა დაგვრჩენია საქმეთა „თავგადასავალიც“ გიამბოთ. სასამართლო სხვადასხვა რაიონში გაიმართა და საქმეებიც შესაბამისად ცალ-ცალკე ინახებოდა. მაგრამ ვითარება ისე დატრიალდა, რომ მათი ერთად თავმოყრა გახდა საჭირო.

როგორც დავინახეთ, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა დიდი დრო და ენერგია დახარჯეს, საუკეთესო პრაქტიკოსები და მეცნიერები მიიწვიეს, რომ მომჩივანთა პრეტენზიები გულისყურითა და ზედმეწვნით გაერჩიათ, არ დაეშვათ რაიმე შეცდომა ადამიანთა ბედის გადაწყვეტის დროს. ყველა საქმე კანონიერად იქნა განხილული. მაგრამ მომჩივანებს არავითარი სურვილი არ ჰქონდათ კანონიერებას დამორჩილებოდნენ.

ბოლოს ოთხივემ — ა. მუმლაძემ, ნ. ხუჯაძემ, ა. ჩუთლაშვილმა და რ. ელერდაშვილმა პირი შეკრეს და საჩივარი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანეს. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები, მაგრამ გააჩნია, რამდენად სამართლიანია ეს ინტერესები და რა ხერხით იცავს მათ.

ჩვენმა გმირებმა თავის მოსაჭრელი და ენით აუწერელი ამბავი მოიმოქმედეს მოსკოვსა თუ თბილისში. პასუხისმგებელ პირებთან მიღების მისაღწევად ქუჩაში ხვდებოდნენ მათ მანქანებს, დებოშს ტეხდნენ, ათასგვარ შანტაჟს მიმართავდნენ. მანამდე იწრიალეს და იხულიგნეს, სანამ ისინი მოსკოვიდან საქართველოში ბადრაგით არ წამოაბრძანეს.

ამგვარად, მოხდა ოთხი დაცალკევებული საქმის თავმოყრა. დაუცხრომელი ჩვენებურები კი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, პროვოკაციული და ცილისმწამებლური გამოხდომებისათვის პასუხისგებაში მისცეს და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206[3] მუხლი აქვთ შეფარდებული.

საბრალო პეტრიკელავ! სად იყო შენს დროს ვნებათაღელვის ასეთი გაჭანება და დონე. შანტაჟის არა კაგეგებოდა რა. დიდად გაგისწრეს მემკვიდრეებმა, მათთან შედარებით შენ ნამეტანი პატიოსნად გამოიყურები...

ნ. ნორაკიძე.



## დღეს მერვედფინალია

**დღეს** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი გაიმართება. თბილისის „დინამო“ უმასპინძლებს ტაშკენტის „პახტაკორს“, იმ გუნდს, რომელთანაც შარშანდელ სეზონში სწორედ სათასო გათამაშების პირველივე შეხვედრა წააგო და გამოეთიშა ბრძოლას. ახლა თბილისის „დინამოს“ წინაშე უფრო ახლებური და განსხვავებული ამოცანა დგას. თუ შარშან მხოლოდ ერთი მატჩის შედეგი წყვეტდა ამა თუ იმ გუნდის შემდგომ ბედს, ახლა ორი მატჩის შედეგის ჯამი უნდა გაარკვიოს, თუ ვინ განაგრძობს თასისათვის ბრძოლას. როცა გუნდი პირველად შინ თამაშობს, იგი ცდილობს რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოიგოს, რათა ერთგვარი მარაგი შეიქმნას სტუმრად უფრო ძნელად ჩასატარებელი შეხვედრის წარმატებით დამთავრებისათვის. გვჯერა, რომ თბილისელები ყოველივე ამას გათვალისწინებენ.

**გუშინ** გაიმართა პირველი მერვედფინალური მატჩები. დონეცკის „შახტიორმა“ დაამარცხა ერევნის „არარატი“ — 3:0; ბაქოს „ნეფტჩიმ“ — ოდესის არმიელთა გუნდი — 4:0; ოდესის „ჩერნომორეცმა“ — კიევის „დინამო“ — 2:1; მოსკოვის „სპარტაკმა“ ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა მოსკოვის „ლოკომოტივთან“. ასევე ფრე აღინიშნა — 1:1 ალმა-ათის „კაირატისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩში.

გარდა ამისა, გუშინ მოეწყო განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შორის. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 1:0 (პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0). ამრიგად, „ტორპედო“ გავიდა მერვედფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნება ვოროშილოვგრადის „ზარია“. მოსკოვის „დინამო“ თავის განმეორებით მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრას დუშანბეს „პამირთან“ გამართავს 3 აპრილს.

## „სპორტლოტო“

**გაცნობებთ** „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 1 აპრილს გამართული მე-13 ტირაჟის შედეგებს.

**პირველი ტირაჟი:** 1 (ალათბურთი), 2 (ბიატლონი), 15 (ძიუდო), 20 (თხილამურ-ტრამპლინი), 25 (ციგურაობა).

**მეორე ტირაჟი:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 11 (ტანვარჯიში), 15 (ძიუდო), 22 (ცურვა), 31 (ძალოსნობა). (ხაკდენი).



### თბილისის საერთაშორისო

## სტარტზე არიან მეხანძრეები

საქართველოს პირად-გუნდური ღია ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებითს სპორტში სპორტის ოსტატ ბ. შანიძის პრიზზე გუშინ დაიწყო „ლოკომოტივის“ სტადიონზე. ქართველი სპორტსმენის I.V მემორიალში რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, ლიტვის, ბელორუსიის, ლატვიის, ლენინგრადის, საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა უძლიერეს კოლექტივებთან ერთად ჩეხოსლოვაკიის პირველი და მეორე გუნდები მონაწილეობენ. ეს შეჯიბრება საბჭოთა სახანძრო დაცვის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

ასპარეზობა დაიწყო 100-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვით, რომელშიც 18 გუნდის 90 სპორტსმენმა ჰიიღო მონაწილეობა. დანარჩენი მეხანძრეები პირად ჩათვლაში ცდიდნენ ძალებს. ფინალში გამარჯვებისათვის ძირითადი ბრძოლა გაიმართა ბ. შანიძის პრიზის შარშანდელ მფლობელს ვ. ნემილო